„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისა და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შედარებითი ანალიზი

თბილისი
2014

სარჩევი

1. შესავალი 3
2. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა 4
3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 5
4. საზოგადოების მონაწილეობა 6
5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა 8
6. დასკვნა 8
7. გამოყენებული მასალა 9

1. შესავალი

1998 წლის 25 ივნისს, დანიის ქალაქ ორჰუსში, ხელი მოეწერა კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (შემდეგში – ორჰუსის კონვენცია).

2000 წლის 11 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა კონვენციის რატიფიცირება. საქართველო კონვენციის მხარე 2000 წლის 11 აპრილიდან გახდა. ხოლო ქვეყანაში კონვენცია ძალაში შევიდა მისი ამოქმედებისთანავე, 2001 წლის 30 ოქტომბერს.

ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით კონვენციებს შორის ახალი ტიპის კონვენციაა[1], რომელიც აყალიბებს ადამიანის ეკოლოგიურ უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი და ჩართულობა[2].

ორჰუსის კონვენცია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების მონაწილეობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის ხელშეწყობას.

საქართველო, როგორც ორჰუსის კონვენციის წევრი სახელმწიფო, ვალდებულია უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალე სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის აქტიურად გავრცელებასა და დაინტერესებული მხარის მიერ, ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის ეფექტურად მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენცია ადგენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს. კონვენციის წევრი სახელმწიფოები არ არიან შეზღუდულნი დაადგინონ ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უფრო ფართო ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გარემოსდაცვით სფეროში მიღებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები შესაბამისობაში იყოს ორჰუსის კონვენციასთან და ითვალისწინებდეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებისა და „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის ანალიზი;

[1] ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004, 4

[2] ბითაძე მ., საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007, 6

- ანალიზის შედეგად გამოვლენილი კანონპროექტის ხარვეზების გათვალისწინებით შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

წინამდებარე ნაშრომის ობიექტია:

- კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ";
- საქართველოს კანონის პროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ";

ორჰუსის კონვენციით დადგენილი საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და „წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შედარებითი ანალიზის ჯეროვნად განხორციელების მიზნით, დოკუმენტში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

ნაშრომის *მეორე თავში* განხილული იქნება საქართველოს კანონის პროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ".

მესამე თავი დაეთმობა ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვასა და კანონპროექტის შესაბამისობას კონვენციის მოთხოვნებთან.

ნაშრომის *მეოთხე თავში* განხილული იქნება საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კანონპროექტის შესაბამისობა აღნიშნულ საკითხთან.

მეხუთე თავში განხილული იქნება ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და კანონპროექტის შესაბამისობა აღნიშნულ საკითხთან.

ნაშრომის *მეექვსე თავში* მოხდება განხილული საკითხების შეჯამება და შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.

2. „წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის ზოგადი მიმოხილვა

2013 წლის 25 მარტს „წყლის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილების (მუხლი 93, პუნქტი „ჰ.ე") მიხედვით, საქართველოს მთავრობას დაევალა 2014 წლის 1 იანვრამდე „წყლის რესურსების მართვის შესახებ" კანონპროექტის მომზადება და საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად წარდგენა.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ". კანონპროექტი ქმნის სამართლებრივ საფუძველს საშუალო და გრძელვადიანი მიზნების დასადგენად – საქართველოში წყლების ხარისხისა და დაცვის კუთხით.

დოკუმენტი მოიცავს წყლის ყველა კატეგორიას (მდინარეები, ტბები, მიწისქვეშა წყლები, ასევე ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიული წყლები) და მიზნად ისახავს შემდეგ ამოცანების შესრულებას — წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის მაღალი ეკოლოგიური დონე/სტატუსის (წყლის „კარგი სტატუსი") მიღწევა 2018–2024 წლებისათვის (მდინარეთა სააუზო გეგმებით დასახული ღონისძიებების განხორციელების პერიოდში) და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე წყლის რესურსების რაციონალური (მდგრადი) გამოყენების უზრუნველყოფა. აღნიშნული უნდა მიიღწეს მდინარეთა სააუზო მართვის ინტეგრირებული გეგმებისა და შესაბამისი ღონისძიებათა პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით[3].

3. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენცია ავალდებულებს კონვენციის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლების ორგანოებს ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით [4]:

- ფლობდნენ მათი ფუნქციის შესაბამის გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- რეგულარულად აგროვებდნენ და ანახლებდნენ გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- აქტიურად ავრცელებდნენ გარკვეულ გარემოსდაცვით ინფორმაციას;
- მოთხოვნისამებრ გასცემდნენ გარემოსდაცვით ინფორმაციას.

იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებამ შეძლოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის დროული შეგროვება და განახლება, უნდა არსებობდეს ინფორმაციის შეგროვების ეფექტური სისტემა. ამ მიზნით, კონვენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრონული მონაცემთა ბაზების, სიების, რეესტრებისა და არქივების არსებობას და მათ უფასო ხელმისაწვდომობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მე–6 მუხლის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება წყლის რესურსებისა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ფონდის შექმნა („წიაღის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფარგლებში) და მისი განკარგვა.

კანონპროექტი არ აკონკრეტებს თუ რომელმა საჯარო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული საინფორმაციო ფონდის შექმნა. გარდა ამისა, კანონპროექტში არაფერია ნათქვამი უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულებაზე, წყლის რესურსების და მის გამოყენებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ფონდი გახადონ ხელმისაწვდომი დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

დოკუმენტში არ არის განსაზღვრული უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა ვალდებულება, ფლობდნენ, რეგულარულად აგროვებდნენ და ანახლებდნენ მათი ფუნქციის შესაბამის წყლის რესურსების და მის გამოყენებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

კანონპროექტის მე–8 მუხლის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, წყლის რესურსების დაცვისა და წყლის რესურსებით სარგებლობის სფეროში თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციას განეკუთვნება „თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის აღრიცხვა და მისი გამოყენების რეგისტრირება". ისევე როგორც წინა შემთხვევაში, კანონპროექტში არაფერია ნათქვამი

[3] იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „წყლის რესურსების მართვის შესახებ".
[4] ორჰუსის კონვენციის მე–4, მე–5 მუხლები

თვითმმართველი ერთეულების ვალდებულებაზე, აღნიშნული ინფორმაცია გახადონ ხელმისაწვდომი დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

კანონპროექტის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო წყალსარგებლობის უფლება[5], მე-7 პუნქტი კი ავალდებულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დადგენისთანავე გამოაქვეყნონ საერთო წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმა ავალდებულებს თვითმმართველობის ორგანოებს ინფორმაცია საერთო წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის შესახებ გაავრცელონ აქტიურად, აღნიშნული ვერ ქმნის ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ეფექტურად მიწოდების მექანიზმს.

სხვა შემთხვევებში კანონპროექტი არ განსაზღვრავს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული რომელი ინფორმაცია უნდა ვრცელდებოდეს აქტიურად, საზოგადოების მოთხოვნის გარეშე, არც ამისათვის პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებას ადგენს.

გარდა საჯარო დაწესებულებებისა, აღსანიშნავია, რომ მეწარმეებიც ფლობენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს. ორჰუსის კონვენცია მოითხოვს, რომ:

- დადგინდეს ამ ინფორმაციის ნაწილის სავალდებულო და რეგულარული მიწოდება სათანადო საჯარო დაწესებულებებისათვის;
- შეიქმნას იმის საფუძველი, რომ თავად მეწარმეებმა უზრუნველყონ მათ ხელთ არსებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის[6].

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების ნებართვის მფლობელის ვალდებულებას აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა კანონმდებლობით დადგენილი წესით. 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი კი ითვალისწინებს ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვის მფლობელისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით წყალსარგებლობის აღრიცხვის ვალდებულებას. თუმცა, კანონპროექტი არ ადგენს აღნიშნული ნებართვის მფლობელების შესაბამისი საჯარო დაწესებულების წინაშე ანგარიშგების ვალდებულებასა და პერიოდულობას.

4. საზოგადოების მონაწილეობა

ორჰუსის კონვენცია აწესებს საზოგადოების სავალდებულო მონაწილეობას გარემოსთან დაკავშირებული სამი ძირითადი ტიპის გადაწყვეტილების მიღებისას:

- საზოგადოების მონაწილეობა კონკრეტულ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში (ნებართვები, ლიცენზიები)[7];
- საზოგადოების მონაწილეობა იმ გეგმებში, პროგრამებსა და პოლიტიკაში, რომელიც გარემოსთან არის დაკავშირებული[8];

[5] საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, თევზის დაცვისა და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სამინისტროს და/ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის აღება სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა.

[6] დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004, 19

[7] ორჰუსის კონვენციის მე-6 მუხლი

[8] ორჰუსის კონვენციის მე-7 მუხლი

- საზოგადოების მონაწილეობა აღმასრულებელი დებულებების და/ან ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში[9].

გარდა ამისა, ორჰუსის კონვენცია, წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს რიგ ვალდებულებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით[10]:

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა მიენიჭოთ არა მხოლოდ დაინტერესებულ მხარეებს, არამედ დაინტერესებულ საზოგადოებას;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას საწყის ეტაპზევე, მაშინ როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისათვის უნდა დადგინდეს გონივრული ვადები;
- დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული, საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე:
- დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საჭირო იქნება გადაწყვეტილების მისაღებად;
- საზოგადოებას უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს შენიშვნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს;
- საზოგადოებას დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახელმწიფო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. საზოგადოებას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

კანონპროექტის მე–19 მუხლი არეგულირებს ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესსა და პირობებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზედაპირულ წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვა გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის VII თავისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის შესაბამისად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავი არეგულირებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესებს. აღნიშნული, კი ვერ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჯეროვან ჩართულობას.

კანონპროექტი, წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული გეგმების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობასთან დაკავშირებით მხოლოდ ამ ჩანაწერით შემოიფარგლება. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დროული, ადეკვატური და ეფექტიანი ჩართვა, აგრეთვე საზოგადოების მონაწილეობის შედეგების გათვალისწინება საკანონმდებლო რეგულირების მიღმა რჩება.

[9] ორჰუსის კონვენციის მე–8 მუხლი

[10] ორჰუსის კონვენციის მე–6 მუხლი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004, 19

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი არაფერს ამბობს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობაზე წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებით აღმასრულებელი დებულებების და/ან ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების პროცესში.

5. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა

ორჰუსის კონვენცია ადგენს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლებას იმ შემთხვევაში:

- თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ დაკმაყოფილდა;
- თუ დაინტერესებულ მხარეს უსამართლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის მიწოდებაზე;
- თუ დაინტერესებულ მხარეს ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის შესახებ[11].

გარდა ამისა, კონვენციაში დამატებით არის განსაზღვრული ის დარღვევები, რომლებიც შეიძლება გასაჩივრდეს ორჰუსის კონვენციის დებულებათა შესაბამისად:

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების დარღვევა;
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევა.

ორჰუსის კონვენცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, რომ ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ აღნიშნული საკითხების გასაჩივრება სასამართლოში, ან სხვა, კანონით დადგენილ მიუკერძოებელ ორგანოში. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება რომ გახდეს დაინტერესებული საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, არ იყოს ძვირადღირებული ღონისძიება, პროცედურები უნდა იყოს დროული და ადეკვატური[12].

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმასა თუ რეგულაციას იმ შემთხვევისათვის, თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შესახებ არ ან არაჯეროვნად შესრულდება ან დაირღვევა დაინტერესებული პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

6. დასკვნა

შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს კანონის პროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ არ ითვალისწინებს ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის კომპონენტებს.

გარდა ამისა, კანონპროექტი არ ითვალისწინებს სპეციალურ დათქმასა თუ რეგულაციას იმ შემთხვევისათვის, თუ დაინტერესებული პირის მოთხოვნა წყლის რესურსების მართვასთან

[11] ორჰუსის კონვენციის მე–9 მუხლი.

[12] იხ. ბითაძე მ., საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007, 9

დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შესახებ არ ან არაჯეროვნად შესრულდება ან დაირღვევა დაინტერესებული პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
იმისათვის, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას ჰქონდეს საშუალება სრულად განახორციელოს ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი უფლებები, რეკომენდებულია კანონპროექტით:

- ✓ განისაზღვროს წყლის რესურსებთან დაკავშირებული რომელი ინფორმაციაა ღია და რომელი ინფორმაციის ღიაობაზე/ხელმისაწვდომობაზე შეიძლება დაწესდეს გარკვეული შეზღუდვა;

- ✓ განისაზღვროს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული ყველა კომპეტენტური ორგანოს ვალდებულება აწარმოონ მათ ხელთ არსებული, წყლის რესურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება/აღრიცხვა/ფლობა/განახლება და აღნიშნული ინფორმაცია გახადონ ხელმისაწვდომი დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

- ✓ განისაზღვროს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმები. კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დროული, ადეკვატური და ეფექტიანი ჩართვა.

- ✓ განისაზღვროს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის მექანიზმები იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული მხარის მოთხოვნა წყლის რესურსებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არ ან არაჯეროვნად დაკმაყოფილდება ან დაირღვევა დაინტერესებული პირის უფლება მონაწილეობა მიიღოს წყლის რესურსების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

7. გამოყენებული მასალა

1) კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“;

2) საქართველოს კანონის პროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“;

3) ორჰუსის კონვენციის განხორციელება. სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის. კიევი, 2004;

4) საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007 – მაია ბითაძე